



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯემალ გოჩიაშვილი

---

საგზაო ინფრასტრუქტურის სამშენებლო პროექტების ბიუჯეტის შედგენის  
ავტომატიზაცია MS Project–ის გამოყენებით,  
შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მაგალითზე

---

ბიზნესის ადმინისტრირება

ნაშრომი წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:  
რუსუდან სეთურიძე  
ეკონომიკის დოქტორი  
ასისტენტ-პროფესორი

თბილისი 2019

## ჯემალ გოჩიაშვილი

საგზაო ინფრასტრუქტურის სამშენებლო პროექტების ბიუჯეტის შედგენის ავტომატიზაცია MS Project-ის გამოყენებით, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მაგალითზე

### ა ნ ო ტ ა ც ი ა

ბიუჯეტის შედგენა ხელით გაანგარიშებისას არაეფექტიანია. ხელით ჩანაწერების შექმნის, გაცემის, შეგროვების და შერწყმის ხანგრძლივი პროცესის დროს, წარმოიქმნება შეცდომები და გამორჩენები. ასეთი შეცდომების გამოსწორება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს სამუშაოს შესრულებაზე. სამშენებლო პროექტების ბიუჯეტის შედგენის ავტომატიზაცია მნიშვნელოვანია, რათა ორგანიზაციებმა შეძლონ მისი გაანგარიშება და კონტროლი სწრაფად, მოქნილად, მაღალი სიზუსტით და ნაკლები ძალისხმევით.

მოცემული ნაშრომის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის სამშენებლო პროექტების ბიუჯეტის შედგენის ავტომატიზაცია MS Project-ის გამოყენებით, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მაგალითზე.

ნაშრომში განხილულია: პროექტების მართვისთვის ბიუჯეტის მნიშვნელობა და მისი შედგენის მეთოდები; პროექტების ხარჯთაღრიცხვის მეთოდები; პროექტების მართვის ტენდენციები და პროგნოზები; საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდენციები; შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ბიზნეს პროფილი; MS Project-ის შესაძლებლობები; კომპანიაში არსებული ბიუჯეტის გაანგარიშების მეთოდი და მისი უარყოფითი მხარეები და ბოლოს ამოცანის დასმა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია.

ნაშრომში დასმული ამოცანა გადაწყვეტილია MS Project-ის გარემოში დაპროექტებული ბიუჯეტის გამოანგარიშების ინსტრუმენტით, რომელიც დანერგილია და დღესდღეობით წარმატებით გამოიყენება შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ (მანამდე ეს ამოცანა რეალიზებული იყო Microsoft Excel-ის გარემოში).



JEMAL GOCHIASHVILI

Automatization of Budgeting of Road Infrastructure Construction Projects  
by MS Project  
based on the example of “Company Black Sea Group”, LLC

A n n o t a t i o n

Manual budgeting never ends well. In the long process of creating, disbursing, collecting and merging records, manually, errors and omissions do arise. These can be costly errors that could have an impact on overall business performance. Automation of construction projects' budgeting is important in order to enable organizations to calculate and control it quickly, flexibly, with high accuracy and less effort.

The purpose of this thesis is to automate the budgeting of road infrastructure construction projects by MS Project based n the example of “Company Black Sea Group” LLC.

The paper reviews the importance of the budget for the management of projects and methods of its calculation, project cost estimation, project management trends and predictions, trends in development of road infrastructure in Georgia, business profile of the “Company Black Sea Group” LLC., features of MS Project, the existing method of counting the budget in the Company and its disadvantages and finally, the task of the thesis and its practical implementation.

The task set out in this paper is solved using the budgeting calculation tool designed in MS Project, which is established and successfully used currently in “Company Black Sea Group” LLC (before, this task was being realized by Microsoft Excel).



## სარჩევი

შესავალი .....	8
1. თავი - სამშენებლო პროექტების მართვისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდენციები .....	11
1.1. ბიუჯეტის მნიშვნელობა და შედგენის მეთოდი .....	11
1.2. სამშენებლო პროექტების ხარჯთაღრიცხვის მეთოდების მიმოხილვა.....	13
1.3. პროექტის მართვის ტენდენციები და პროგნოზები.....	15
1.4 პროექტის მართვის 10 უნარ-ჩვევა ნებისმიერი პროექტის მენეჯერისთვის .....	17
1.5. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდენციები საქართველოში.....	22
2. თავი - შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ბიზნეს პროფილის მიმოხილვა.....	25
2.1. კომპანიის დახასიათება .....	25
2.2. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა.....	26
2.3. კომპანიის მდებარეობა საქართველოს ფარგლებში .....	28
2.4. კომპანიის ძირითადი ღირებულებები .....	28
2.5. კომპანიის მომსახურების სფეროები .....	30
2.6. კომპანიის სამომავლო მიზნები .....	32
3. თავი - ამოცანის გადაწყვეტის პრაქტიკული რეალიზაცია.....	33
3.1. MS Project-ის შესაძლებლობების მოკლე აღწერა.....	33
3.1.1 დაგეგმვის მეთოდები .....	37
3.1.2. რესურსების დაგეგმვა.....	38
3.1.3. ანგარიშგების ფორმების აღწერა .....	38
3.2. კომპანიაში არსებული ბიუჯეტის შედგენის მეთოდი.....	40
3.2.1. კომპანიაში არსებული ბიუჯეტის შედგენის მეთოდის აღწერა .....	40
3.2.2. კომპანიაში სამშენებლო პროექტის ბიუჯეტის შედგენის არსებული მეთოდის უარყოფითი მხარეები.....	44
3.3. ამოცანის დასმა და რეალიზაცია .....	44



---

3.4. საწყისი დოკუმენტების აღწერა .....	47
3.5. MS Project-ში სამუშაო დავალებების ჩამონათვალის შექმნა.....	49
3.6. MS Project-ში რესურსების ჩამონათვალის შექმნა .....	51
3.7. MS Project-ში რესურსების დაკავშირება სამუშაო დავალებებთან.....	52
3.8. MS Project-ში პროექტის ღირებულების ავტომატურად გაანგარიშება .....	53
3.9. ანგარიშგებითი შედეგები .....	53
დასკვნა .....	59
გამოყენებული ლიტერატურა.....	60
დანართები.....	62



დიაგრამა 1: საბაზისო ხარჯი და დაფინანსების დრო .....	12
დიაგრამა 2: კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა.....	26
დიაგრამა 3 კომპანიის მუდმივი საწარმოო ბაზები .....	28
დიაგრამა 4 კომპანიის ძირითადი ღირებულებები .....	29
დიაგრამა 5 კომპანიის მომსახურების სფეროები.....	30
დიაგრამა 6 დავალებების ქსელური დაგეგმა განტის დიაგრამით .....	35
დიაგრამა 7 სამუშაოების პროგრესის შეფასება.....	38
დიაგრამა 8 ფულადი ნაკადები.....	39
დიაგრამა 9 ღირებულებისგან და გრაფიკისგან გადახვევა .....	39
დიაგრამა 10 განტის დიაგრამა.....	50
დიაგრამა 11 პროექტის ზოგადი მიმოხილვა .....	54
დიაგრამა 12 ფულადი ნაკადები.....	55
დიაგრამა 13 სამუშაო დავალების ღირებულების მიმოხილვა .....	56
დიაგრამა 14 რესურსების ღირებულების მიმოხილვა .....	57
დიაგრამა 15 დაგვიანებული სამუშაო დავალებები .....	58



ცხრილი 1 სამუშაოს ხარჯთაღიწვვა .....	40
ცხრილი 2 სამუშაო დავალებები შესრულების ვადებით .....	41
ცხრილი 3 ტექნიკური რესურსების გაწერა .....	42
ცხრილი 4 მასალების გაწერა .....	42
ცხრილი 5 პერსონალის დანიშვნა .....	43
ცხრილი 6 სამუშაო დავალებები შესრულების ვადებით და ბიუჯეტით .....	43
ცხრილი 7 ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მონაცემთა ბაზის ფორმა .....	47
ცხრილი 8 შრომითი რესურსების ნედლი მონაცემების გარდაქმნა .....	47
ცხრილი 9 კომპანიის მანქანა-მექანიზმების დეპარტამენტის მონაცემთა ბაზის ფორმა ...	48
ცხრილი 10 მანქანა-მექანიზმების ნედლი მონაცემების გარდაქმნა .....	48
ცხრილი 11 სამშენებლო მასალების ნედლი მონაცემების გარდაქმნა .....	49
ცხრილი 12 რესურსების ცხრილი ფასების მითითებით .....	51
ცხრილი 13 რესურსების დაკავშირება სამუშაო დავალებებთან .....	52
ცხრილი 14 ბიუჯეტის ავტომატური გამოანგარიშების ფანჯარა .....	53



## შესავალი

აბრეშუმის გზა წარმოადგენდა მთავარ ტრანსკავკასიურ სავაჭრო-საქარავნო გზას, რომელიც აკავშირებდა ჩინეთს შავ და ხმელთაშუა ზღვებთან. აღნიშნულ გზაზე ვაჭრობა ჩვ. წ. აღ.-მდე მე-2 საუკუნიდან დაიწყო. აბრეშუმი ვაჭრობის მთავარი საგანი იყო - ჩინეთიდან მაღალი ხარისხის აბრეშუმი რომსა და ბიზანტიაში ახლო აღმოსავლეთის ძირითადი ქვეყნების ხელშეწყობით გადიოდა ექსპორტზე. აბრეშუმის გზამ წაახალისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარება. „აბრეშუმის გზა“ თავისთავად არ გულისხმობდა მხოლოდ აბრეშუმით ვაჭრობას, თუმცა მისი სახელწოდება მომდინარეობდა ჩინეთის აბრეშუმის მომგებიანი ვაჭრობიდან (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2019, გვ. 2).

საქართველოზე გამავალი E-60 ავტომაგისტრალი ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს აკავშირებს ერთმანეთთან (ბათუმი-ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი), ხოლო საერთაშორისო საავტომობილო გზების ქსელში ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს წარმოადგენს. ქვეყნის სატრანზიტო პერსპექტივების გათვალისწინებით და E-60 ავტომაგისტრალის მოდერნიზაცია სახელმწიფოს სოციო-ეკონომიკური განვითარების კუთხით მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენს.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2006 წელს საქართველოს საგზაო მშენებლობების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი დაიწყო - E-60 ავტომაგისტრალის მშენებლობა და მოდერნიზაცია ჩქაროსნულ ავტომაგისტრალად. E-60 ავტომაგისტრალის მშენებლობა ძირითადად ხორციელდება ცემენტობეტონის საფარის დაგების ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით. სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული პროდუქცია ძირითადად ადგილობრივი წარმოებისაა, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის აქტიური განვითარება დღემდე უწყვეტად გრძელდება, როგორც საერთაშორისო გზების, ასევე შიდა სახელმწიფოებრივი გზების ფარლებში. სახელმწიფოს მხრიდან ასეთმა პოლიტიკამ დიდი მოთხოვნა გააჩინა ადგილობრივ ბაზარზე ამ საქმიანობის მიმწოდებელ კომპანიებზე. შპს „კომპანია ბლექ სი





გრუპი“ წარმოადგენს იმ ერთ–ერთ წამყვან კომპანიას, რომელმაც თავი გაართვა გამოწვევებს და კვლავ წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის სფეროში. კომპანიამ თავისი საქმიანობა რამდენიმე მანქანა–მექანიზმით და მცირე რაოდენობის მუშა–პერსონალით დაიწყო 2005 წელს, დღეს კი მისი საბაზრო ღირებულება 100 მილიონ ლარს აღწევს.

კომპანიისა და პროექტების მასშტაბების ზრდასთან ერთად მეტად აქტიური გახდა სამუშაოების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდების გაუმჯობესება და პროექტების წინაწარი ბიუჯეტიტის შედგენის მეთოდების დახვეწა.

მოცემული თემის მიზნებისთვის გამოყენებული იქნება პროექტების მართვის თანამედროვე საინფორმაციო ავტომატიზებული ინსტრუმენტი - MS Project, ყველა იმ საჭირო საწყის მონაცემებთან ერთად, რაც აუცილებელია პროექტის ბიუჯეტის შედგენისთვის და მისი შემდგომი კონტროლისთვის.

**ბიუჯეტის შედგენა მოხდება შემდეგი მეთოდით – ხარჯთაღრიცხვა ქვემოდან ზემოთ.**

საბაზისო მონაცემებად გამოყენებული იქნება შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ შიგნით არსებული ერთეულის ფასები, ხელფასები და მანქანა–მექანიზმების წარმადობის მაჩვენებლები. მანქანა–მექანიზმების წარმადობის მაჩვენებლები და შესაბამისი ხარჯი თავის მხრივ გამოთვლილია კომპანიის ტექნიკური სამსხურის მიერ ჩატარებული კვლევა–ანალიზის საფუძველზე და ასევე, საქართველოში არსებული მანქანა–მექანიზმების ფასების ოფიციალური კრებულის გათვალისწინებით, რომელიც გამოიცემა ყოველკვარტალურად ([www.e-smeta.ge](http://www.e-smeta.ge), 2019).

ამ პროგრამაში გაიწერება პროექტის შესრულებისთვის საჭირო სხვადასხვა საბაზისო მონაცემები (პერსონალის პოზიციები ხელფასის მითითებით; მანქანა–მექანიზმები და ქარხნები წარმადობის, საწვავის/ელ–ენერჯის მოხმარების, ცვეთის ხარჯის ან იჯარის ღირებულების მითითებით; სამშენებლო და სახარჯი მასალები მიმდინარე ფასების მითითებით).



წინამდებარე ნაშრომში, ნიმუშად გამოთვლილი იქნება ერთ-ერთი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობის ბიუჯეტი MS Project-ში გარემოში. შედეგად, ნაშრომში წარმოდგენილი მეთოდით და პროგრამული ინსტუმენტის გამოყენებით, შესაძლებელი იქნება საგზაო ინფრასტრუქტურის სხვადასხვა პროექტების და ზოგადად სამშენებლო პროექტების ბიუჯეტის დათვლა, როგორც წარმოდგენილი კომპანიის შიგნით, ასევე სხვა კომპანიების მიერაც (მონაცემთა ბაზის სათანადოდ გადაკეთების შემთხვევაში).



# 1. თავი - სამშენებლო პროექტების მართვისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდენციები

## 1.1. ბიუჯეტის მნიშვნელობა და შედგენის მეთოდი

პროექტის ბიუჯეტი წარმოადგენს ცალცალკე საქმიანობების ან სამუშაო პაკეტების კომბინირებულ ხარჯს, რომელიც პროექტის ფარგლებში უნდა შესრულდეს. ბიუჯეტი წარმოადგენილია დამტკიცებული საბაზისო ხარჯის მიხედვით. სანამ ბიუჯეტის შემუშავებას ვიხილავთ, პირველ რიგში მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რატომ არის იგი მნიშვნელოვანი. არსებობს ორი ძირითადი მიზეზი პროექტის ბიუჯეტირების აუცილებლობის შესახებ: 1) პროექტის დაფინანსება – დაინტერესებულმა პირებმა უნდა იცოდნენ თუ რამდენი თანხაა საჭირო და როდის. პროექტისთვის საჭირო რესურსების (პერსონალი, მანქანა-მექანიზმები და მასალები) მიწოდება გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაკავშირებულია დაფინანსებასთან. 2) პროექტის ხარჯის კონტროლი – საჭიროა პროექტის ფაქტობრივი ხარჯების გაზომვა და შედარება დამტკიცებულ ბიუჯეტთან, რათა დადგინდეს მიმდინარეობს პროექტი გეგმის მიხედვით თუ საჭიროა მაკორექტირებელი ზომების მიღება.

მას შემდეგ რაც გავეცანით პროექტის ბიუჯეტის მნიშვნელოვნებას, საჭიროა განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება პროექტის ბიუჯეტის შედგენა. უმეტეს ორგანიზაციებს აქვთ საკუთარი წესები და პროცედურები პროექტის ბიუჯეტის გამოსაანგარიშებლად თუმცა, არსებობს შემდეგი საერთო ძირითადი ფაქტორები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ბიუჯეტის შესადგენად:

- საქმიანობის ხარჯთაღრიცხვა
- ხარჯთაღრიცხვის საფუძველი
- სამუშაოთა კალენდარული გეგმა
- რესურსების კალენდარი

**საქმიანობის ხარჯთაღრიცხვა** არის პროექტის ფარგლებში შესასრულებელი თითოეული საქმიანობის ან სამუშაოს პაკეტის ინდივიდუალური განფასება. თითოეული საქმიანობისთვის, ხარჯთაღრიცხვა ზოგადად მოიცავს პირდაპირ შრომას,



მასალებს, მანქანა-მექანიზმებს, მომსახურებას, შენობა-ნაგებობებს და საინფორმაციო ტექნოლოგიებს.


**ხარჯთაღრიცხვის საფუძველი** არის მხარდამჭერი დოკუმენტაცია აქტივების ღირებულების შეფასების შესახებ. მაგალითად, რა პრინციპით ხდება შეფასება, რა დაშვებები და შეზღუდვები არსებობს, გამოიყენება წარმადობის ზოგადი სტანდარტები თუ ორგანიზაციას აქვს შიდა შემუშავებული წარმადობისა და ხარჯის კალკულაციები.

**სამუშაოთა კალენდარული გეგმა** გამოიყენება ბიუჯეტის დასათვლელად სამუშაოების პერიოდის შესაბამისად. განსაზღვრულ კალენდარული პერიოდისთვის შესაძლებელია აქტივობის ხარჯების კომბინაცია, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება დროითი (ეტაპობრივი) ბიუჯეტი.

**რესურსების კალენდარი** გვამლევს ინფორმაციას თუ რა რესურსებია საჭირო პროექტისთვის და როდის. რესურსების ერთეულის ფასების პროექტის კალენდარულ გრაფიკთან გაერთიანების შედეგად განისაზღვრება რესურსების ხარჯები.

მას შემდეგ, რაც გაიწერება ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილი დავალებების შესახებ და მოხდება მათი ცალცალკე განფასება, შემდგომ უკვე მხოლოდ ხარჯების დაჯამება იქნება საჭირო პროექტის ბიუჯეტის დასადგენად, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა 1: საბაზისო ხარჯი და დაფინანსების დრო



შენიშვნა: დიაგრამა 1-ში, F1\$, F2\$, F3\$ წარმოადგენს დასაფინანსებელ თანხას (ნაზარდი ბიუჯეტი), ხოლო F1, F2, F3 კი დაფინანსების დროს. მათი ურთიერთგადაკვეთის წერტილები აჩვენებს დასაფინანსებელ თანხას დროში.

საგზაო ინფრასტრუქტურის სამშენებლო პროექტის ბიუჯეტირება, ისევე როგორც სხვა სფეროს პროექტების, ხდება ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ფაქტორებისა და დამატებით იმ სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რაც ამა თუ იმ პროექტისთვის ინდივიდუალურია.

პროექტის ბიუჯეტის განფასების დროს წარმოიშობა სხვადასხვა გაურკვეველობები, ეს უმეტესწილად გამომდინარეობს შემდეგი გარემოებიდან:

- **მსგავსი პროექტის გამოცდილება** – რაც უფრო ნაკლებია გამოცდილება მსგავსი პროექტის შესახებ, მით უფრო დიდია გაურკვეველობა ახალი პროექტის ხარჯების განფასებისას.
- **პროექტის ხანგრძლივობა** – რაც უფრო ხანგრძლივია პროექტი, მით უფრო იზრდება გაურკვეველობა. ამის საპირისპიროდ, მოკლევადიანი პროექტების დაგეგმარება შედარებით მარტივია.
- **საჭირო პერსონალი** – პროექტის დაგეგმარების ეტაპზე რთულია ყველა იმ საჭირო პროფესიონალური უნარის განსაზღვრა, რაც საჭირო იქნება პროექტის შესასრულებლად. ეს გარემოება ზრდის გაურკვეველობას ხარჯების განფასებისას.

## 1.2. სამშენებლო პროექტების ხარჯთაღრიცხვის მეთოდების მიმოხილვა

პროექტის ბიუჯეტის შედგენა წარმოადგენს პროექტით გამიზნული სამუშაოების შესრულების ხარჯის პროგნოზირებას დროში. იგი წარმოადგენს პროექტის ხარჯის მართვის პირველ ელემენტს, რომელიც მოიცავს პროექტის მონეტარული ღირებულების დაგეგმვას, მონიტორინგს და კონტროლს.

პროფესიონალურ პროექტის მენეჯერები იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტებს და მეთოდებს ხარჯების დათვლისთვის, ასეთ ინსტრუმენტებს და მეთოდებს მიეკუთვნება (თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით):



- **ხარჯთაღრიცხვა ანალოგის მიხედვით** – ამ შემთხვევაში განფასების საფუძვლად გამოიყენება სხვა მსგავსი პროექტის ხარჯების ისტორია. ეს მეთოდი უფრო გამოიყენება პროექტის ადრეული ეტაპის დასაგეგმარებლად და სხვა მეთოდებთან შედარებით მისი სიზუსტე დაბალია (Stepanov, 4 Basic Project Estimation Techniques, 2017, გვ. 3).
- **პარამეტრული ხარჯთაღრიცხვა** - აღნიშნული მეთოდი ძალიან გავს განფასებას ანალოგიების მეთოდით. მაგრამ მოცემული მეთოდი უფრო ზუსტია, რამდენადაც პროექტის მთელი სამუშაო დაყოფილია ნაწილებად ან ერთეულებად, ცალ-ცალკე განსაფასებლად. ზოგიერთი ადამიანი მიიჩნევს, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი მეთოდი, რათა დადგინდეს პროექტის ღირებულება და ხანგრძლივობა.  
მიდგომა ეყრდნობა წინა პროექტებისა და საქმიანობის დეტალურ მონაცემებს. სხვაობა ამ მეთოდით განფასებას და ანალოგიას შორის არის ის, რომ აქ გამოიყენება სტატისტიკური დამტკიცების ტექნიკა (Stepanov, 4 Basic Project Estimation Techniques, 2017, გვ. 2).
- **სამ წერტილიანი ხარჯთაღრიცხვა** – ეს არის პროექტის სიმულაციური განფასების ერთ-ერთი ტექნიკა, რომელიც ითვალისწინებს სამი ტიპის განფასებას პროექტის საშუალო ხარჯის დასათვლელად. ეს სამი ტიპი შედგება: ყველაზე მეტად სავარაუდო (Cm), ოპტიმისტური (Co) და პესიმისტური (Cp) განფასებებისგან. განფასება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით:  $(Co+4Cm+Cp)/6$  (Stepanov, 4 Basic Project Estimation Techniques, 2017, გვ. 3).
- **ხარჯთაღრიცხვა ქვემოდან ზემოთ** – ამ მეთოდით ხდება პროექტის ფარგლებში შესასრულებელი თითოეული სამუშაოს ან სამუშაოთა პაკეტის ინდივიდუალური განფასება, რომელიც შემდგომ ჯამდება და მიიღება პროექტის საერთო ბიუჯეტი. განფასების ეს მეთოდი ზოგადად ითვლება ყველაზე ზუსტად, რადგან ის ითვალისწინებს წვრილ სამუშაოებად ჩაშლილ საქმიანობების ხარჯებს (Stepanov, 4 Basic Project Estimation Techniques, 2017).  
პროექტის დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია ჩამოვაცალიბოთ იმ ამოცანათა სია, რომელთა გადაწყვეტაც მიგვიყვანს პროექტის მიზნის შესრულებამდე. ამოცანათა



სია უნდა იყოს ამომწურავი და კორექტული. სიაში უნდა შევიდეს მარტო ის ამოცანები, რომლებიც პროექტის დადებით გადაწყვეტას ემსახურება.

### 1.3. პროექტის მართვის ტენდენციები და პროგნოზები

პროექტების მართვა მისი თანამედროვე სახით წარმოიშვა 1950-იან წლებში \_ ცივი ომის დროს \_ სამხედრო დანიშნულების მნიშვნელოვან პროგრამებთან დაკავშირებით. ამრიგად, პროექტების მართვის საგანი მისი ახლანდელი სახით ჩამოყალიბდა სამხედრო სტრუქტურების წიაღში. ამჟამად პროექტების მართვა საყოველთაოდ აღიარებული საქმიანობა და დიდად დაფასებული სპეციალობაა, რომელსაც შეიძლება შევხვდეთ სრულიად სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციებში - ჯანდაცვიდან წარმოებამდე და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებიდან ბუნებრივი რესურსების მოპოვებამდე.

პროექტები ჩვენი ცხოვრების თანმდევაა. პროექტების მართვისთვის არ არსებობს არც კორპორაციული, არც დარგობრივი საზღვრები. ადამიანები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პროექტებს, გამოდიან წინა ფლანგზე. ცვლილებები შეეხო ყოველივეს, რაც ჩვენს გარშემოა, ხოლო ცვლილებები - ეს პროექტებია.

მრავალ სპეციალობას შორის, რომლებიც გვადლევენ წარმატების მიღწევის საშუალებას სწრაფად ცვალებად ცხოვრებაში, პროექტების მართვა დგას განცალკევებულად, როგორც მეცნიერება, რომლის დანიშნულებაა \_ იყოს ცვლილებათა მამოძრავებელი ძალა.

რეალიზებადი პროექტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია წარმოშობს განუხრელად მზარდ მოთხოვნას ადამიანებზე, რომლებიც კარგად ერკვევიან პროექტებში და შეუძლიათ მათი ეფექტიანად მართვა.

ამჟამად პროექტების მართვა უკვე გასცდა ინდივიდუალური შესაძლებლობების ვიწრო ჩარჩოებს. ახლა პროექტების მართვა განიხილება, როგორც ორგანიზაციული ოსტატობა.



"ერთადერთი მუდმივი არის ცვლილება" - ეს არის ფრაზა, რომელიც უდავოდ ვრცელდება პროექტის მენეჯმენტის სფეროში. ეს ცვლილებები ქმნიან ტენდენციებს, რომლებიც ფართო გავლენას ახდენენ ინდუსტრიაზე.

პროექტის მენეჯერების როლი და ორგანიზაციის ხელმძღვანელების მიერ მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა სულ უფრო იზრდება დ იზრდება.

ნივთების ინტერნეტის განვითარების პარალელურად, პროექტის მენეჯერები შეძლებენ უფრო მარტივად გასინჯონ პროექტის მაჯის ცემა და აკონტროლონ შესრულების ინდიკატორები. (Tolani, 2019, გვ. 2)

თანამედროვე ტექნოლოგიები ამარტივებენ პროექტის მართვაში შემდეგ საკითხებს:

- რისკების შეფასება
- რესურსების განაწილება
- ჭკვიანი დაგეგმარება
- სტატისტიკური ინფორმაციის შექმნა
- განმეორებითი ამოცანების ავტომატიზაცია
- პროცესების თანმიმდევრობის გაუმჯობესება
- გადაწყვეტილების მიღების გამარტივება





## 1.4 პროექტის მართვის 10 უნარ-ჩვევა ნებისმიერი პროექტის მენეჯერისთვის

ნებისმიერი პროექტის მენეჯერი, ვისაც სურს რომ წარმატებული იყოს, უნდა იყოს „ყველაფრის მცოდნე“ პირი. ეს არ ეხება მხოლოდ პროფესიულ უნარ-ჩვევები, ცოდნას და საერთო გამოცდილებას. ეს, ასევე, ეხება მრავალ სხვა პიროვნულ თვისებასა და შესაძლებლობებს, როგორცაა თანაგუნდელებთან, კლიენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან და ურთიერთობას.

თუ თქვენ, როგორც პროექტის მენეჯერს გავლილი გაქვთ დიდი ტექნიკური მომზადება, იცით, თუ როგორ მუშაობს ყველაფერი - ეს ძალიან კარგია. მაგრამ ესეც კი ვერ დაგეხმარებათ, რომ თავიდან აცილილოთ დიდი რაოდენობის გაუთვალისწინებელი სიტუაციები (რამაც შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოების ჩავარდნა).

ქვემოთ მოცემულია პროექტის მენეჯმენტის უნარ-ჩვევები - ერთგვარი აუცილებელი თვისებები სია მათთვის ვისაც საქმე აქვს პროექტის მენეჯმენტთან.

### 1. კომუნიკაცია

აუცილებელი უნარი, რომლის გარეშეც პროექტი ვერც კი დაიწყება. ზოგიერთი მონაცემებით, პროექტის მთელი დროის 70-90% კომუნიკაციას ეთმობა. ვერავინ შეძლებს დაგეგმოს და მართოს პროექტი, სადაც არ ხდება გაზიარება სხვადასხვა მხარეებს/პირებს შორის ხედვების და იდეების. უფრო მეტიც, პროექტის მენეჯერებისთვის კარგი საკომუნიკაციო უნარები სავალდებულოა, რადგან მათ უნდა ისაუბრონ დაინტერესებულ მხარეებთან, შეაგროვონ მათი მოთხოვნები, გამოხატონ საკუთარი სათქელი და შემდეგ, გადასცენ ის გუნდის ყველა წევრს.

ამდენად, პროექტის წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია პროექტის მენეჯერის უნარზე, რომ მან შეეძლოს ეფექტური კომუნიკაციის დამყარება გუნდის წევრებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ნებისმიერი ცვლილება და სტატუსი პროექტის მიმდინარეობის შესახებ დროულად ინდა იქნას გაზიარებული გუნდის წევრებისთვის.



მენეჯერებმა უნდა მიაწოდონ თავიანთი შეტყობინებება სათანადო წესით: ნათლად, დროულად და სწორი არხის საშუალებით.

## 2. ხელმძღვანელობა

პროექტი ვერ წავა წინ, თუ პროექტის მენეჯერი არ ფლობს ამ მნიშვნელოვან უნარს. ხელმძღვანელობა არის მთავარი გასაღების პროექტის მართვაში. კარგი კომუნიკაციის უნარების ფონზე კი, თუ მენეჯერს არ შეუძლია გუნდის შთაგონება, მას არ გაყვება გუნდი და გაწევენ ისინი თავიანთ ძალისხმევას.

პროექტის მენეჯერი არის პირველი პირი, რომელსაც ჯერ პროექტის წარმატების.

## 3. გუნდური მართვა

დავალებების სწორად განაწილების მიზნით, პროექტის მენეჯერი კარგად უნდა იცნობდეს მისი გუნდის წევრებს და მათ შესაძლებლობებს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი დავალებების გადანაწილება შესაბამის ადამიანებზე.

გუნდური მართვა ასევე მოიცავს სწორ კოორდინაციას, სამუშაოს შესრულების შეფასებას, დაბალი შესრულების გამოსწორებას, სწორი და მკაფიო საკვანძო ეტაპების დადგენას და კონფლიქტების გადაჭრას.

ეს არ ზომას იმასთ თუ, რამდენად დიდია თქვენი როლი, როგორც ლიდერი. აქ უბრალოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს გუნდის თითოეული წევრის საქმიანობის შესრულებაზე.

## 4. დროის მართვა

პროექტის მენეჯერები უნდა აკონტროლებდნენ სხვებს - ეს მათი სამუშაო და პასუხისმგებლობაა. მაგრამ აქ, დროის მართვაში იგულისხმება საკუთარი დროის კონტროლიც.

მათი დღეები სავსეა სხვადასხვა სირთულისა და პრიორიტეტის საკითხებით. ამ პირობებში ყოველთვის არსებობს ამოცანები, რომლებიც უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება ადრე. შეუძლებელია მუშაობა თუ არ გამოხდა დაუყოვნებლივი პრობლემების გამოკვეთა.



## 5. რისკების მართვა

პროექტის მართვის უნარ-ჩვევები ვერ იქნება სრული ამ შესაძლებლობის გარეშე. პროექტზე აუცილებლად წარმოიქმნება რისკები - ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს IT, მშენებლობა, დიზაინი თუ სხვა, მინიმალური რისკის და სირთულის გარეშე პროექტი ვერ ჩაივლის.

ასეთ შემთხვევებში წარმატება ყოველთვის დამოკიდებულია მენეჯერის უნარ-ჩვევებზე, რომ შეძლოს რისკის პროგნოზირება და შექმნას მათი თავიდან არიდების გზები. მათი მოხდენის შემთხვევაში გამოიყენონ გეგმა B. უფრო მეტიც, პროექტის მართვის მაღალი დონის მაჩვენებელია, თუ გუნდმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს პროცესების არასწორად განვითარების შემთხვევაში.

## 6. პირადი ორგანიზებულობა

როგორ შეგიძლია გუნდის ორგანიზება, თუ არ შეგიძლია საკუთარი ტავის ორგანიზება? თუ თვითონ არ ფლობ გარკვეულ უნარს, ვერ შეძლებ სხვისთვის მის გადაცემას.

ასე რომ, პროექტის მენეჯერი, რა სფეროშიც არ უნდა იყოს, პირველ რიგში უნდა გაუკეთოს ორგანიზება საკუთარ დროს, გეგმებს და სხვა საქმიანობებს.



## 7. მოლაპარაკება

ეს უნარი გარკვეულწილად წარმოადგენს პუნქტ 1-ის გაგრძელებას - კომუნიკაციის უნარი. მაგრამ ეს ბევრად უფრო რთულია, რამდენადაც მოლაპარაკება ნიშნავს არათუ იმას, რომ ისაუბრო კარგად, არამედ იმას, რომ შეძლო კარგად მოუსმინო და გაუგო სხვებს.

პროექტის გუნდი შედგება სხვადასხვა ადამიანებისგან. უფრო მეტიც, ძალიან განსხვავებული ჩვევების, ემოციების, ხასიათის ტიპების, გამოცდილების და ასე შემდეგ ადამიანებისგან. ნებისმიერმა მენეჯერმა უნდა მოახერხოს ყველა ამ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის შეკრება საერთო იდეის გარშემო, რათა წარმატებით განხორციელდეს პროექტი. ასეთია მოლაპარაკებების უნარის მაგალითი.

მოლაპარაკება საჭიროა ყოველდღიურად გუნდის წევრებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, გარე რესურსების მოწოდებლებთან და სხვა მრავალ მხარესთან. სამშენებლო სფეროში მენეჯერები მოლაპარაკებებს აწარმოებენ დიზაინერებთან, დეველოპერებთან, მშენებლებთან, ქვეკონტრაქტორებთან და ა.შ.

მოლაპარაკებების უნარის ძირითადი საზომია ის, რომ მენეჯერმა უნდა შექმნას გამარჯვებულის განცდა თითოეული მხარისთვის. დისკუსიის შემდეგ ყველას უნდა დარჩეს გამარჯვებულის შეგრძობა და შექმნას კარგი განწყობა. უკიდურეს შემთხვევაში, უნდა იქნას მოძებნილი შუალედური პოზიცია და კომპრომისი. საერთო ჯამში, ჩვენი საერთო მიზანი უნდა იყოს პროექტის წარმატებით დასრულება ისე, რომ ყველა მხარე იყოს კმაყოფილი.

## 8. პირადი კვალიფიკაცია

პროფესიული სამყარო მუდმივად ვითარდება. თითოეული სფერო თითქმის ყოველ 1-3 წელში მოითხოვს ახალ ცოდნას, გამოცდილებას და უნარებს. რაც კარგად მუშაობდა რამდენიმე წლის წინ, შესაძლოა ახლა სასურველი შედეგები აღარ მოიტანოს. პირადი კვალიფიკაცია საჭიროა შემოწმდეს პროექტის დასაწყისში. იმ შემთხვევაში თუ მენეჯერი აკმაყოფილებს მოთხოვნებს თავისი ცოდნით და გამოცდილებით, მხოლოდ



ამის შემდეგ უნდა დაიწყოს ფიქრი პროექტის დაგეგმარებაზე, აღსრულებაზე და კონტროლზე.

პროექტის მენეჯერი უნდა დარწმუნდეს, რომ კარგად იცის საკუთარი პროექტი. მაშინაც კი, თუ მას ზოგიერთ სფეროში არ აქვს გამოცდილება, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ უფრო სიღრმისეულად გაეცნოს ახალ საკითხებს. ყოველივე ამის შემდეგ, მან უნდა გადასცეს სწორი შეტყობინებები დაკვეთისგან საკუთარ გუნდს და პირიქით.

ეს უნარი მენეჯერს ასევე საშუალებას აძლევს შეაფასოს ხარჯი და დრო რაც პროექტის შესრულებისთვისაა და საჭირო.

## 9. კრიტიკული აზროვნება

უნარი, რომელიც საშუალებას აძლევს მენეჯერს გაარჩიოს ყოველი ნაბიჯის და პროცესის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები. საქმის წარმატებით შესასრულებლად, ასეთი აზროვნება მნიშვნელოვანია ყოველი სამუშაოს დაწყების წინ. ეს არის რაც ქმნის და გამოარჩევს კარგ მენეჯერს.

იყო კრიტიკული და აზროვნებდე კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროექტისა და მისი მენეჯერისათვის.

## 10. დაგეგმვის უნარები

ეს უნარი წარმოადგენს ყველაზე მთავარს. მნიშვნელობა არ უნდა მივაქციოთ მის პოზიციას ამ ჩამონათვალში, რომ ის მე-10 ადგილზე დგას.

მენეჯერები ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოებენ დავალებების დაგეგვას, მათ კონტროლს, ანაწილებენ რესურსებს და სხვა მსგავს მრავალ საკითხს. ყოველივე ამის გაკეთება კი შეუძლებელია სპეციალური პროგრამული მხარდაჭერის გარეშე. ამ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ MS Project, რომელიც გაგვიმარტივებს პროექტის მართვას. მისი გამოყენებით, პროექტის მენეჯერი მარტივად ახერხებს სამუშაო დავალებების შექმნას, მათზე რესურსების დანიშვნას, ხედავს გუნდში თუ ვინ რა საქმიანობას აკეთებს და როგორ დამთავრდება ესა თუ ის საქმე. ამავდროულად, შეუძლია გრაფიკული ანგარიშებით, უფრო მარტივად აღიქვას და გაუზიაროს სხვებსაც



პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. (Stepanov, 10 Project Management Skills to Possess for Every Project Manager, 2017, გვ. 8).

## 1.5. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდენციები საქართველოში

საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად პროექტებსა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

მისი პრიორიტეტებია:

- ევროკავშირის საგზაო სტანდარტებთან ეტაპობრივი ინტეგრაცია
- უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა
- საგზაო ინფრასტრუქტურის რაციონალური დაგეგმარება
- გზების მართვის გაუმჯობესებული სისტემის ჩამოყალიბება
- მონიტორინგის ფუნქციის დახვეწა
- სექტორში კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა
- გარემოზე ზრუნვა
- სოციალური და განსახლების პოლიტიკის გაუმჯობესება
- აქტივობების გამჭირვალობისა და საზოგადოების
- ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

მიმდინარე მთავარ მიმართულებებს წარმოადგენს:

- E-60 და E-70 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა
- საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია - პერიოდული შეკეთება;
- ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- საავტომობილო გზების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია;
- საგზაო ინფრასტრუქტურის პერსპექტიულ პროექტებზე მუშაობა;



- ნაპირდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

დეპარტამენტის ბალანსზე, დღეისათვის, საერთაშორისო მნიშვნელობის 1455 კმ. გზა და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 6943 კმ. გზა ირიცხება.

საერთაშორისო მნიშვნელობის საგზაო ქსელიდან განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა E-60 (ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი) და E-70 (ფოთი-ბათუმი-სარფი) სატრანზიტო მაგისტრალები. ეს ორი გზა ერთმანეთს საპორტო ქალაქ ფოთთან უკავშირდება და მთლიანად, 450 კილომეტრიან, მთავარ სატრანზიტო ავტომაგისტრალს წარმოადგენს.

E-60 და E-70 მაგისტრალების ჩქაროსნულ გზატკეცილად მოდერნიზების სამუშაოები 2006 წელს დაიწყო და ეტაპობრივად მიმდინარეობს.

მთავარ პრიორიტეტებს, რომელთა საფუძველზეც კონკრეტული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა ხორციელდება, საქართველოს გზების განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ. ეს პრიორიტეტებია: სატრანზიტო გადაზიდვების პოტენციალის მკვეთრი ზრდა, რაც E-60 და E-70 დერეფნების ოთხზოლიან ავტომაგისტრალებად მოდერნიზაციის შედეგია. გადაზიდვების ბრუნვისა და რეგიონში ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარება წარმოშობს გაზრდილ მოთხოვნას სატრანზიტო საქონელზე შავი ზღვის პორტებიდან (ბათუმი, ფოთი, ანაკლია მომავალში) მეზობელ ქვეყნებში, ისევე როგორც ცენტრალური აზიისა და ჩინეთის მიმართულებით. აღნიშნული დერეფნების ალტერნატივებს E-40 და E-50 დერეფნები წარმოადგენენ, რომლებიც კვეთენ უკრაინა-რუსეთი-ყაზახეთის ტერიტორიებს და E-80 დერეფანი, რომელიც გადის საბერძნეთი-თურქეთი-ირანის ტერიტორიებზე. დღევანდელ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება ევროპასა და აზიაში ახალი სატრანზიტო დერეფნების წარმოშობით, ქართული სახელმწიფო ასევე დგას გარკვეული გამოწვევების წინაშე და ისინი მოითხოვენ სწრაფ რეაგირებას. კერძოდ, 2020 წლამდე აუცილებელია საქართველოში სატრანზიტო გადაზიდვებისთვის მიმზიდველი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა (საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2019).



აბრეშუმის გზა წარმოადგენდა მთავარ ტრანსკავკასიურ სავაჭრო-საქარავნო გზას, რომელიც აკავშირებდა ჩინეთს შავ და ხმელთაშუა ზღვებთან. აღნიშნულ გზაზე ვაჭრობა ჩვ.წ.აღ.-მდე მე-2 საუკუნიდან დაიწყო. აბრეშუმი ვაჭრობის მთავარი საგანი იყო - ჩინეთიდან მაღალი ხარისხის აბრეშუმი რომსა და ბიზანტიაში ახლო აღმოსავლეთის ძირითადი ქვეყნების ხელშეწყობით გადიოდა ექსპორტზე. აბრეშუმის გზამ წაახალისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარება. „აბრეშუმის გზა“ თავისთავად არ გულისხმობდა მხოლოდ აბრეშუმით ვაჭრობას, თუმცა მისი სახელწოდება მომდინარეობდა ჩინეთის აბრეშუმის მომგებიანი ვაჭრობიდან. სწორედ ამ გზას გამოიყენებდნენ ჩინეთში ფუფუნების ნივთების გადასატანად, ზოგიერთი კულტურული მცენარის და რელიგიური და ფილოსოფიური დოქტრინების გასავრცელებლად.

VII-IX საუკუნეებში ამ გზაზე საქონლით ვაჭრობას არაბული ხალიფატი აკონტროლებდა. შემდეგ მონოპოლია მონღოლებმა მოიპოვეს. აბრეშუმის გზამ თავისი მნიშვნელობა გვიან XVII საუკუნეში დაკარგა, როდესაც ევროპელები საბოლოოდ დაეუფლნენ ოკეანის მარშრუტს აფრიკის გავლით. როგორც ცნობილია, საქართველოს დედაქალაქი ჩვ.წ.აღ.-მდე მე-4 საუკუნეში მცხეთა იყო. ამ დროისთვის ვაჭრობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საბერძნეთის კულტურა ირანის უკიდურესად განვითარებულ კულტურას შეერწყა. აბრეშუმის გზას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვადასხვა საქონელი, საიუველირო ნაწარმი, ხელოვნების ნიმუში, სხვადასხვა ფორმებში გამოხატული კულტურა ამ გზის გავლით გადაჰქონდათ. გარდა ვაჭრობისა და საქონლის გაცვლისა, მას სამხედრო გზის დანიშნულებაც გააჩნდა. ამგვარად, აბრეშუმის გზის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორი ძირითადი - აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურების გაერთიანებისთვის. (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2019, გვ. 1)





## 2. თავი - შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ბიზნეს პროფილის მიმოხილვა

### 2.1. კომპანიის დახასიათება

**საწარმოს დასახელება:** შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“

**მისამართი:** თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, "ბიზნეს-ცენტრი ვაჟაზე", მე-8 ბლოკი, მე-3 სართული, ოფისი #16.

**საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

**საკუთრების ფორმა:** კერძო საკუთრება.

**საწარმოს მოკლე მიმოხილვა:** „კომპანია ბლექ სი გრუპი„ დაარსდა 2005 წელს და დღევანდელი მდგომარობით ლიდერია საქართველოს ბაზარზე საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაში. თანამედროვე ეპოქაში ნებისმიერი ახალი იდეის და პროექტის განხორციელება გზით იწყება. კომპანია აშენებს გზებს, აკავშირებს ერთმანეთთან ქალაქებს, ქუჩებს, შენობებს, სოფლებს. დაარსებისთანავე, კომპანიამ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზირებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა და კეთილმოწყობა დაისახა უმთავრეს მიზნად და თავისი არსებობის განმავლობაში ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტები განახორციელა მთელი საქართველოს მასშტაბით.

„კომპანია ბლექ სი გრუპს“ გააჩნია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მობილური საწარმო-ტექნოლოგიური ბაზები, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მობილიზებულ იქნეს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში: კერძოდ, სტაციონალური და მობილური ქვის სამტვრევი დანადგარები, ასფალტის და ბეტონის ქარხნები, ბეტონის ნაკეთობათა, ქვაფენილისა და ბორდიურების საამქრო, სპირალური მილების საამქრო, ხარისხის კონტროლის შესამოწმებელი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორია. კომპანიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა პერსონალის მუშაობისა და დასვენების შესაბამისი კომფორტული პირობების შექმნას. ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი და საოფისე კემპები და კვების




ობიექტები. კომპანიაში არსებობს ტექნიკური პერსონალის ტრენინგისა და სწავლების ბაზა, სადაც სხვადასხვა სპეციალობას ეუფლებიან კომპანიის თანამშრომლები და დამწყები სპეციალისტები.

„კომპანია ბლექ სი გრუპის“ ხარისხის მართვის სისტემა საერთაშორისო იტალიური კომპანია INTERTEK-ის მიერ შეფასებული იქნა ISO 9001:2015 სტანდარტების მოთხოვნებთან მიმართებაში. ხარისხის მართვის სისტემა გამოიყენება გზების პროექტირებასა და მშენებლობაში, არხების და მდინარეების დამცავ სამუშაოებთან, ქვაფენილისა და სპეციალური სტრუქტურის მშენებლობასთან, მიწის სამუშაოებთან, ასფალტის და ბეტონის ნარევის დიზაინსა და წარმოებასთან, ინერტული მასალების შერჩევასა და გარეცხვასთან.

## 2.2. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა გამოიყურება შემდეგნაირად (იხ. დიაგრამა):

დიაგრამა 2: კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა



კომპანიის მმართველობითი სტრუქტურის სათავეშია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 3 ადამიანისგან. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. საბჭოს ქვეშ დგას დირექტორი, რომელიც არის კომპანიის პოლიტიკის და საქმიანობის მთავარი აღმასრულებელი პირი. შემდგომ, კომპანიის შიდა სამსახურების სტრუქტურა იყოფა 2 ჯგუფად: 1) ადმინისტრაციული – რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე და ამავდროულად ფინანსური დირექტორი; 2) ტექნიკური – რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი.

პირველ ჯგუფში შედის შემდეგი სამსახურები:

1. ადამიანური რესურსების მართვა;
2. ფინანსები და ბუღალტერია;
3. იურიდიული;
4. ადმინისტრაცია / ოფისის მართვა;
5. დოკუმენტ-კონტროლი;
6. შესყიდვები (ადგილობრივი და საზღვარგარეთი);
7. ინფორმაციული ტექნოლოგიები;
8. საწყობი.

მეორე ჯგუფში შედის შემდეგი სამსახურები:

1. ტექნიკური სამსახური (სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, პროექტების ბიუჯეტირება, დაგეგმვა, კონტროლი, სატენდერო სამუშაოები, კონტრაქტების მართვა), რომელშიც შედის ასევე:
  - a. საინჟინრო-საპროექტო სამსახური,
  - b. გეოდეზია;
2. ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი, რომელშიც შედის ასევე:
  - a. ლაბორატორია;
3. შრომის უსაფრთხოება და გერემოს დაცვა;
4. წარმოება;
5. მშენებლობა, რომლის გავლითაც ფორმირდება პროექტის მართვის გუნდები;
6. მანქანა-მექანიზმების პარკი, რომელშიც შედის ასევე:



- a. სახელოსნო;
- 7. საწვავის მართვა, კონტროლი და ანალიზი;
- 8. დაცვა.

### 2.3. კომპანიის მდებარეობა საქართველოს ფარგლებში

ამჟამად, კომპანიას აქვს მომსახურების მიწოდების 9 მუდმივი ბაზა, რომელიც განლაგებულია შემდეგ რეგიონებში: თბილისი (1), კახეთი (2) შიდა-ქართლი (2), იმერეთი (2), გურია (1), სამეგრელო-ზემო სვანეთი (1). მდებარეობები ნაჩვენებია ფოტო-რუკაზე.

დიაგრამა 3 კომპანიის მუდმივი საწარმოო ბაზები




აღნიშნული ბაზებიდან კომპანია ემსახურება, როგორც ამ რეგიონებში მიმდინარე საკუთარ სამშენებლო პროექტებს, ასევე ცალკეულ ერთჯერად და მუდმივ კლიენტებს.

### 2.4. კომპანიის ძირითადი ღირებულებები



დიაგრამა 4 კომპანიის ძირითადი ღირებულებები



კომპანიის ძირითად ფასეულობებს წარმოადგენს კლიენტებისა და თანამშრომლების კმაყოფილება, რომლის მისაღწევადაც აქვს შემდეგი მიდგომები:

საქმიანობის შესრულების დროს მაქსიმალურად უზრუნველყოფის შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და ხარისხის კონტროლს.

კომპანია საკუთარი თანამშრომლების კმაყოფილებისთვის და განვითარებისთვის ატარებს შემდეგ პოლიტიკას: იერარქიული დაწინაურება, როტაცია მომიჯნავე პოზიციებზე, კვალიფიკაციის ასამაღლებლად სასწავლო შვებულებებში მივლინება, სოციალური ღონისძიებები, ანაზღაურება ადგილობრივი საბაზრო ფასების შესაბამისად და უფრო მეტი, რომელიც პერიოდულად უმჯობესდება.

## 2.5. კომპანიის მომსახურების სფეროები

კომპანია დაარსებიდან ახორციელებს მომსახურებას საგზაო ინფრასტრუქტურის საინჟინრო-სამშენებლო სფეროში და დღეის მდგომარეობით წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან კომპანიას საქართველოს ბაზარზე. კომპანია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ტექნიკური პერსონალით და ენერჯიული მმართველი გუნდით. ქვეყნის მასშტაბით, კომპანიას აქვს სამშენებლო მანქანა-მექანიზმების ყველაზე დიდი პარკი და ასევე მაღალი წარმადობის, სტაციონარი და მობილური საწარმოო ქარხნები შემდეგი მასალებისთვის: ასფალტის ნარევი, ბეტონის ნარევი, ფრაქციებათ დამსხვრეული ინერტული-აგრეგატები, ბეტონის ნაკეთობათა, ქვაფენილისა და ბორდიურების საამქრო, წინასწარ დამაბული ხიდების კოჭების საამქრო, სპირალური მილების საამქრო. კომპანიას აქვს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელშიც შეიძლება მიწის, ინერტული აგრეგატების, ბეტონისა და ასფალტის ნარევების ფიზიკურ-მექანიკური გამოცდა.

კომპანიის მომსახურება იყოფა შემდეგ ძირითად 2 ჯგუფად:

დიაგრამა 5 კომპანიის მომსახურების სფეროები



პირველ მიმართულებას ეწოდება „წარმოება“, რომელიც აერთიანებს შემდეგი სახის მომსახურებას:

1. კარიერის დამუშავება (მასალების მოპოვება და აღდგენა);
2. ინერტული აგრეგატების დამსხვრევა–გაცრა სხვადასხვა ფრაქციებთან და გარეცხვა;
3. ასფალტის ნარევის წარმოება;
4. ბეტონის ნარევის წარმოება;
5. წინასწარ ჩამოსხმული ბეტონის ნაკეთობების წარმოება (ხიდის მალეები, კანალიზაციის ჭები, არხები და ა.შ.).

მეორე მიმართულებას ეწოდება „ინჟინერია და მშენებლობა“, რომელიც აერთიანებს შემდეგი სახის მომსახურებას:

1. საერთო სამშენებლო სამუშაოების;
2. ასფალტისა და ბეტონის საგზაო საფარის პროექტირება–მშენებლობა (საფუძვლის, ხიდების, წყალგამტარი მილების, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების ჩათვლით);
3. მცირე ჰესების და წყალმომარაგების სისტემების (მილსადენები, გამწმენდი ნაგებობები, რეზერვუარები) მშენებლობა;
4. ზღვისა და მდინარეების ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობა;

კომპანიას დღემდე წარმატებით შესრულებული აქვს 250–ზე მეტი პროექტი შემდეგ სფეროებში: საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტირება–მშენებლობა, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა, მცირე ჰესების მშენებლობა, სხვადასხვა საკომუნიკაციო სისტემების მოწყობა, შენობა–ნაგებობების ფუნდამენტების მშენებლობა, ზღვისა და მდინარეების ნაპირდაცვა.

კომპანიის საშუალო წლიური ბრუნვა შეადგენს 70 მლნ. ლარს (ბოლო 5 წლის მონაცემების მიხედვით), ფიქსირებული აქტივების რაოდენობა - 1000 ერთეულზე მეტი (რაშიც შედის მანქანა–მექანიზმები, ქარხნები, სხვადასხვა აღჭურვილობა და დანადგარები), მუდმივი პერსონალის რაოდენობა - დაახლოებით 300 კაცი, ხოლო დროებითი პერსონალის რაოდენობა კი აღწევს 2000 კაცს პროექტების დატვირთიდან გამომდინარე.



## 2.6. კომპანიის სამომავლო მიზნები

მომდევნო 5 წლის მანძილზე, კომპანიის მიზნები ასე გამოიყურება:

1. ბიზნესის გაფართოება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო გამოცდილების მისაღებად;
2. ადგილობრივ ენერჯო სექტორში ინვესტირება და ჰესების მშენებლობაში მონაწილეობა;
3. საქართველოში ალტერნატიული ენერჯის (მზე და ქარი) განვითარებაში მონაწილეობა;
4. საგზაო გვირაბების საინჟინრო და სამშენებლო გუნდის ფორმირება;
5. საქართველოს მასშტაბით, საგზაო ინფრასტრუქტურის სრული საინჟინრო და სამშენებლო მომსახურების უზრუნველყოფა.





## 3. თავი - ამოცანის გადაწყვეტის პრაქტიკული რეალიზაცია

### 3.1. MS Project-ის შესაძლებლობების მოკლე აღწერა

MS Project-ი წარმოადგენს Windows-ის გარემოში პროექტების ორგანიზაციული დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საშუალებას. MS Project-ი საშუალებას იძლევა ეფექტურად ვმართოთ პროექტის ყველა დავალება და რესურსი, განვსაზღვროთ სამუშაოს დამთავრების დრო, თვალყური ვადევნოთ სამუშაოების შესრულებას, შევქმნათ საშედეგო დოკუმენტაციის სხვადასხვა სახე. პროექტის შესახებ მონაცემები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ცხრილების, დიაგრამების ან გრაფიკების სახით.

MS Project კომპანია Microsoft-ის მიერ შემუშავებული კომპიუტერული პროგრამაა, იგი როგორც პროექტის დაგეგმარების ინსტრუმენტი, ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით. პროგრამა ითხოვს ინფორმაციის შეტანას ამოცანებზე, მათ კავშირებზე, შეზღუდვებზე, შესრულების ვადებზე, რესურსებზე და ღირებულებებზე.

MS Project განასხვავებს დანახარჯების ორ ტიპს: ერთჯერადი ფიქსირებული გადახდები: ამოცანის დასაწყისში ან ამოცანის დასრულების დროს და რესურსების დროში დანაწილებული გადასახადები - ამოცანის ხანგრძლივობის პროპორციულად (Prorated).

შრომითი რესურსებისთვის განისაზღვრება სტანდარტული განაკვეთი (Standart Rate) და ზეგანაკვეთი (Overtime Rate).

ფიქსირებული გადახდები შეიძლება დანიშნული იქნეს როგორც შემსრულებლებისთვის (Per Use Cost) , ასევე მატერიალური რესურსებისთვის (Fixed Cost).

მატერიალური რესურსების ერთჯერადი გადახდების მაგალითი შეიძლება იყოს პროგრამის, კომპიუტერის, ავტომობილის შეძენაზე გაწეული დანახარჯები.

მას შემდეგ, რაც პროექტის გეგმა შედგება და დადგინდება მისი მაჩვენებლები, გეგმა უნდა იქნეს შენახული როგორც საბაზო (Baseline). პროექტის მსვლელობის დროს იცვლება პროექტის მაჩვენებლების მიმდინარე მნიშვნელობები - დანახარჯების

მოცულობა, გამოყენებული რესურსების რაოდენობა, ამოცანების შესრულების ნაწილი. მაგრამ საბაზო გეგმაში მონაცემები არ იცვლება. რა თქმა უნდა, პროექტის მსვლელობაში ხდება დარჩენილი სამუშაოების გადახედვა და გეგმაში შეიტანება ცვლილებები. ამ შემთხვევაში იქმნება ახალი საბაზო გეგმა.


საბაზო გეგმა და გეგმის მიმდინარე მაჩვენებლები (ფაქტიური მაჩვენებლები) ინახება ერთ ფაილში. საბაზო გეგმის შექმნის შემდეგ იწყება შესრულებული ნაწილის შედარება საბაზო (გეგმიურ) ნაწილთან.

რთული პროექტის სტრუქტურის ანალიზისათვის და ამოცანების ამორჩევისათვის, MS Project-ში გამოიყენება იერარქიის სტრუქტურის მოკლე აღნიშვნებისთვის სისტემაში არსებობს ველი WBS (Work BreakDown Structure).

განტის დიაგრამა ორი ნაწილისაგან შედგება: მარცხნივ წარმოდგენილია ელექტრონული ცხრილი, რომელიც თავის მხრივ სვეტებისა და სტრიქონებისაგან შედგება, მარჯვენა მხარე კი გრაფიკულ ნაწილს წარმოადგენს.



დიაგრამა 6 დავალებების ქსელური დავგემა განტის დიაგრამით




ცხრილში შეიტანება ცნობები ამოცანებზე, გრაფიკული ნაწილი კი ასახავს ცხრილის მონაცემებს გრაფიკულად; ორივე ნაწილი ერთიმეორესთან არის დაკავშირებული: ცვლილებები, შეტანილი ერთ ნაწილში, აისახება მეორეში.


პროექტში ამოცანები ურთიერთ დაკავშირებულნი არიან. სტრუქტურა თავის-თავად გულისხმობს მათ კავშირს, მაგრამ პროექტისთვის სტრუქტურის გარდა, კავშირები ფიქსირდება არამარტო თანმიმდევრობით, არამედ დროის ინტერვალის მითითებითაც, შეზღუდვებით მათი შესრულების ინტერვალს შორის.

MS Project-ში ამოცანების დამოკიდებულებებისთვის შემდეგი ოთხი ტიპის კავშირია მიღებული:


1. Finish-ti-Start (FS) - ერთი ამოცანის დასრულების შემდეგ იწყება მეორე ამოცანის შესრულება- კლასიკური ტიპი, რომელიც გაჩუმებით მყარდება ამოცანებს შორის კავშირის ტიპის მითითების გარეშე;



2. Start-to-Start (SS) - მომდევნო ამოცანა ვერ დაიწყება, სანამ არ დაიწყება ყველა წინამდებარე:



3. Finish-to-Finish (FF) - მომდევნო ამოცანა ვერ დამთავრდება, თუ არ დამთავრდა ყველა წინამდებარე:



4. Start-to-Finish (SF) - მომდევნო ამოცანა ვერ დამთავრდება, თუ არ დაიწყო წინამდებარე.



### 3.1.1 დაგეგმვის მეთოდები

- პირდაპირი
- უკუსვლითი

პროექტის დაგეგმვის დასაწყისშივე უნდა დავადგინოთ თუ საიდან ვიწყებთ პროექტის შესრულების დაგეგმვას - დასასრულის თარიღიდან, თუ საწყისი თარიღიდან. ამის მიხედვით ხდება დაგეგმვის მეთოდის არჩევაც.

პროექტების მართვის ავტომატიზებული სისტემის გამოყენების მთავარ უპირატესობებს წარმოადგენს:

1. პროექტის ეფექტური მართვა
2. პროექტების მართვის პროცედურების რეგლამენტირების საშუალება;
